

სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის 2023 წელს
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დარგობრივი კომისიის
შეფასების შედეგები

№503 საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტი

დამტკიცებულია დარგობრივი კომისიის სხდომაზე ოქმი N----- 2024წ

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის კრიტერიუმები(კომპონენტები)	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება,რეკომენდაციები	
<p>პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები</p> <p>2023 წელს ასეთი არ ყოფილა</p>	ანალიზი -	
	რეკომენდაციები -	
	შეფასება	უარყოფითი
<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო კვლევითი პროექტები</p> <p>1. მერაბ შვანგირაძე, იოსებ ბაციკაძე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო კვლევითი პროექტი #AR-18-613 – „ქარის მცირე ენერჯი დანადგარების პილოტური ნიმუშების დამზადება ბაზალტის ბოჭკოს გამოყენებით, მონტაჟი, ტესტირება,საექსპლუატაციო პარამეტრების დადგენა“. 2019-2023 წ.</p>	<p style="text-align: center;">ანალიზი</p> <p>ქარის გენერატორების დამზადება გამართლებულია როგორც ეკოლოგიური ასევე ეკონომიური თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ქარის გენერატორების ფრთებს მოეთხოვებათ მაღალი სიმტკიცე და მცირე მასა. ასეთი, ერთი შეხედვით ურთიერთ საწინააღმდეგო, თვისებები შესაძლებელია მივიღოთ მხოლოდ პოლიმერული კომპოზიტური მასალების გამოყენების შემთხვევაში. ამ მასალების ძირითად კომპონენტებს წარმოადგენენ არმირების ბოჭკოები და ე.წ. შემკვრელები, მაგალითად პოლიფიფრი ან ეპოქსიდი. ბოჭკოს სახით ძირითადად გამოიყენება მინის ბოჭკო და ნახშირბადის ბოჭკო, რომელიც 8-10-ჯერ ძვირია მინის ბოჭკოსთან შედარებით. საქართველოში მზადდება ბაზალტის ბოჭკო. კერძოდ ქ. რუსთავში ფუნქციონირებს საწარმო “Basalt Fibers”-ში, რომელიც უშვებს ბაზალტის ბოჭკო-მაფს და მისგან ნაქსოვ მასალას. ჩვენ ქარის გენერატორის ფრთების დასამზადებლად, არმირების მასალის სახით, ვიყენებთ ბაზალტის ბოჭკოს ნაქსოვს. ამისათვის ჩავატარეთ კვლევები მოცემული მასალის თვისებების შესწავლის მიზნით. კერძოდ გამოვიკლიეთ ბაზალტის ბოჭკოს</p>	

პოლიმერული კომპოზიტის თვისებები გაჭიმვისა და ღუნვის სიმტკიცეზე ტესტირებით, რის შედეგად დადგინდა რომ იგი ეფექტურია ქარის გენერატორების დასამზადებლად. ღირებულებით ბაზალტის ბოჭკო მინის ბოჭკოს შესაბამისია და მუშაობისას ჯანმრთელობისთვის არ არის სახიფათო. ცნობილია რომ ქარის გენერატორების ფრთები ხელით სამუშაოს გამოყებით მზადდება.

მოცემული ტექნოლოგიის განხორციელების მიზნით დავამზადეთ ფორმები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ დავამზადოთ ფრთები სიგრძეებით: 1 მ, 1,8 მ, 2,3 მ. და 4მ. პოლიმერიზაციის პროცესი შეიძლება განხორციელდეს ინიციატორისა და დამაჩქარებლის გამოყენებით ან ინიციატორისა და ტემპერატურული ზემოქმედებით. ამიტომ 4 მ. სიგრძის ფრთების ფორმები დავამზადეთ ლითონის კონსტრუქციისგან, შიგა გამახურებლების გამოყენებით.

დანარჩენი ფორმები ხისგან გვაქვს დამზადებული. ფრთები გარსული ფორმისაა (შიგა სივარელით), რაც დამატებით წონის შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

საბოლოოდ შევქმენით ბაზალტის ბოჭკოს გამოყენებით ქარის გენერატორის ფრთების დამზადების ტექნოლოგია.

შემუშავებული ტექნოლოგიით დავამზადეთ ქარის გენერატორების როტორები დიამეტრებით: 2,6 მ, 5მ, 6მ და 9,2 მ.

რეკომენდაციები მიზანშეწონილია საქართველოში დამზადდეს ქარის გენერატორები ბაზალტის ბოჭკოს გამოყენებით

შეფასება	დადებითი

<p>პატენტები</p> <p>2023 წელს ასეთი არ ყოფილა</p>	<table border="1"> <tr> <td colspan="2" style="text-align: center;">ანალიზი</td> </tr> <tr> <td colspan="2" style="text-align: center;">-</td> </tr> <tr> <td colspan="2" style="text-align: center;">რეკომენდაციები</td> </tr> <tr> <td colspan="2" style="text-align: center;">-</td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">შეფასება</td> <td></td> </tr> <tr> <td></td> <td style="text-align: center;">უარყოფითი</td> </tr> </table>	ანალიზი		-		რეკომენდაციები		-		შეფასება			უარყოფითი
ანალიზი													
-													
რეკომენდაციები													
-													
შეფასება													
	უარყოფითი												
<p>ბექდური/ელექტრონული პროდუქციის გამოცემა საქართველოში (მონოგრაფიები, წიგნები, სახელმძღვანელოები. კრებულები, სამეცნიერო სტატიები)</p> <p>გამოცემულია 3 სახელმძღვანელო, 1 დამხმარე სახელმძღვანელო და 3 მეთოდური მითითებები</p> <p>1. . გელა ყიფიანი, ალექსანდრე ბამგარაძე, ზურაბ მჭედლიძე, მაყვალა ბეკირიძე, მარინა ქურდაძე. თეორიული მექანიკა (კინემატიკა) ISBN 978 – 9941, 434 გვერდი გამომცემლობა - უნივერსალი, თბილისი 2023 წ.</p> <p>2. . მერაბ კახიანი მანქანათა ნაწილებისა და მანქანა დანადგარების დინამიკა ISBN 978-9941-28-935-4, 190 გვერდი საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“; თბილისი 2023წ</p> <p>3. . ნათელა ჯავახიშვილი, მზია ბეგიაშვილი; „სამშენებლო ხაზვა“; ISBN 978-9941-28-997-2; საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“; თბილისი 2023წ . 89 გვერდი.</p> <p>4. . ნათელა ჯავახიშვილი, თეა ბარამაშვილი, ქეთევან ჭკუასელი; . „კომპიუტერული გრაფიკული პროგრამა Revit“; ISBN 978-9941-28-999-6 . საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“; თბილისი 2023წ 172 გვერდი</p> <p>5. . იოსებ ბაციკაძე, მანანა არაბიძე „სამუშაო რვეული (გეომეტრიული ხაზვა)“ ISBN 978-9941-512-00-1 . საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“; თბილისი 2023წ. 8 გვერდი</p>	<p style="text-align: center;">ანალიზი</p> <p>ყველა ბექდური გამოცემა შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, რომლებიც იმსახურებენ მაღალ შეფასებას.</p> <p>სამეცნიერო სტატიებში ჩართულნი არიან სტუდენტი-დოქტორანტები.</p> <p>სახელმძღვანელო შეიცავს კინემატიკის ტიპურ ამოცანებს თავისი ამოხსნებით. ყოველი პარაგრაფის დასაწყისში მოყვანილია ძირითადი დებულებები და მეთოდური მითითებები, რომლებიც გამოიყენება ამოცანების ამოხსნისას. ამოხსნები მოცემულია დაწვრილებითი ახსნა-განმარტებებით.</p> <p>2. სახელმძღვანელო მოიცავს მანქანათა ნაწილებისა და მანქანის შემადგენელი კონსტრუქციების გაანგარიშებას თანამედროვე მეთოდებით სიმტკიცეზე, ხანგამძლეობაზე, ცვეთამედეგობაზე, საიმედოობასა და დინამიკური მდგრადობის სხვა მახასიათებლებზე, რაც მანქანის დაპროექტებისა და გამოცდის პროცესის ოპტიმიზაციის საშუალებას იძლევა.</p> <p>3. სახელმძღვანელო შედგენილია სამშენებლო ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის განკუთვნილი სილაბუსის მიხედვით. სახელმძღვანელო დახმარებას გაუწევს აგრეთვე როგორც უმაღლესი პროფესიული განათლების სტუდენტებს ისე ხაზვით დაინერესებულ პირებს. სახელმძღვანელო შედგება შემდეგი ნაწილებისგან: ნახაზის გაფორმება სტანდარტული პირობებით - ნახაზის მასშტაბი, ხაზტა ტიპები; გეგმილური ხაზვის საფუძვლები: ორთოგონალური დაგეგმარება;</p>												

6. . იოსებ ბაციკაძე, მანანა არაბიძე, გიორგი წულეისკირი
.მხაზველობითი გეომეტრიის ამოცანათა კრებული (СБОРНИК ЗАДАЧ ПО НАЧЕРТАТЕЛЬНОЙ ГЕОМЕТРИИ) ISBN 978-9941-28-962-0 საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“; თბილისი 2023წ. 10 გვერდი

7. ნათელა ჯავახიშვილი, მზია ბეგიაშვილი „მოცემულობები სამშენებლო ხაზვაში“ მეთოდური სამუშაო ISBN 978-9941-28-715-2 . საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“; თბილისი 2023წ. 3 გვერდი

აქსონომეტრია; ზომების დასმა; ჭრილები. სამშენებლო ხაზვა: საცხოვრებელი ნაგებობის გეგმა ფასადი, ჭრილი, კიბის უჯრედი. სამრეწველო ნაგებობები: გეგმა, ფასადი, ჭრილი. შედგენილია ზომების დასმის მაგალითები და სავარჯიშოები მოცემულობები გეგმიურ ხაზვაში. ხაზვის შესწავლა იწყება გეომეტრიული ფიგურების გამოსახულებების აგების თეორიით (ორთოგონალური და აქსონომეტრიული გეგმილები), რაც სივრცითი აზროვნების ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობაა. ხაზვის, როგორც საინჟინრო კურსის საფუძვლიანი შესწავლა, ნახაზების წაკითხვა და შესრულება შემდგომში განსაზღვრავს სამშენებლო-არქიტექტურული პროექტების შესრულების ხარისხს.

4. Autodesk Revit პროგრამული პროდუქტია, რომელიც დაფუძნებულია შენობათა ინფორმაციული მოდელირების (BIM - building information Modeling) ტექნოლოგიაზე. განკუთვნილია მშენებლობის დაპროექტებასა და შენობების ექსპლუატაციის მართვისათვის. რევიტი თავის თავში აერთიანებს არქიტექტურული ინჟინრული სისტემების დაპროექტებისა და სამშენებლო კონსტრუქციების შესაძლებლობას. ითვლება, რომ Revit-ი ერთ-ერთი საუკეთესო კომპიუტერული პროგრამაა დაპროექტებისათვის. AutoCAD-ისაგან განსხვავებით, რევიტში შეიძლება საბოლოო მნიშვნელობების წინასწარი განსაზღვრა ანუ ობიექტის პროტოტიპის, ანუ მიეცეს საბოლოო პარამეტრები, რომელთა გაანგარიშება შემდგომში მოხდება. AutoCAD-ი ძირითადად ორგანზომილებიანი მოდელირების პროგრამაა, სადაც შეუძლებელია მასალების ფუნქციების საბოლოო განსაზღვრა. AutoCAD-ში გვაქვს კონსტრუქცია, მისი გრაფიკული გამოსახულება და მასალის პირობითი წარდგენა, ხოლო Revit-ში შეგვიძლია ერთდროულად მასალისა და

კონსტრუქციის დათქმა, ამავდროულად გადავდივართ მის კონსტრუქციულ დანიშნულებაზე. ანუ, თუ AutoCAD-ში მოდელირებას სხვადასხვა ეტაპიდან ვიწყებთ, Revit-ში ვაგებთ შენობის საწყისიდან ბოლომდე. რევიტში ვუთითებთ არა მხოლოდ ობიექტს, არამედ მის ვიზუალურ თვისებებს, ე.ი. უფრო დეტალურადაა შესაძლებელი პროექტის დამუშავება, რათა მაქსიმალურად მიუახლოვდეს შენობის რეალურ გამოსახულებას. რევიტში შეიძლება როგორც ორგანზომილებიანი ნახაზების ისე სამგანზომილებიანი ობიექტების შექმნა. შესაძლებელია ობიექტების სხვადასხვა სიბრტყეში გაჭრა, შეიძლება როგორც შიგა, ისე გარე მოწყობილობების ჩვენება, ავეჯის ელემენტებისა და იატაკის მასალის ჩვენება. რევიტში არის ყველაფერი, რაც არ არის არქიტექტურულ მოდელირებასთან დაკავშირებულ უმეტეს პროგრამებში.

5. ამოცანების პირობები მოცემულია როგორც გრაფიკული გამოსახულებების ისე ტექსტური ინფორმაციის საშუალებით. ნაშრომის ძირითადი კონცეფცია დამუშავებული და აპრობირებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტში. განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იმ ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ვინც გეგმილურ ხაზვას სწავლობს ერთ-სემესტრიანი პროგრამით.

6. ამოცანათა კრებული შედგენილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც შეისწავლიან მხაზველობით გეომეტრიას ერთი სემესტრის განმავლობაში. კრებული დახმარებას გაუწევს იმ სტუდენტებსაც, რომლებიც შეისწავლიან მხაზველობით გეომეტრიას,

	<p>როგორც „საინჟინრო გრაფიკის შემადგენელ ნაწილს“.</p> <p>კრებულის ძირითადი პედაგოგიური კონცეპცია დამუშავებულია და აპრობირებულია</p> <p>7. მეთოდური სამუშაო შეიცავს ზოგად ცნობებს სამშენებლო-არქიტექტურული ნახაზების შესახებ. წარმოდგენილია, როგორც საცხოვრებელი, ისე სამრეწველო შენობების გეგმის, ჭრილის და ფასადის ნახაზები. მეთოდური მითითებები განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო სპეციალობის სტუდენტებისათვის. დახმარებას გაუწევს მათ სავალდებულო გრაფიკულსამუშაოების შესრულებაში.</p> <p style="text-align: center;">რეკომენდაციები</p> <p>ამ მიმართულებით დეპარტამენტმა გააძლიეროს მუშაობა, რათა სასწავლო კურსების სილაბუსებში რაც შეიძლება იყოს მეტი ახალი ქართულენოვანი ლიტერატურა.</p> <table border="1" data-bbox="826 1099 1420 1216"> <tr> <td style="width: 50%; text-align: center;">შეფასება</td> <td style="width: 50%; text-align: center;">დადებითი</td> </tr> <tr> <td> </td> <td> </td> </tr> </table>	შეფასება	დადებითი		
შეფასება	დადებითი				
<p>სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (საქართველოში, უცხოეთში)</p> <p>1. თ. ჩხაიძე, ნინო ნოზაძე, ნანა ნოზაძე თამარ ბერიძე</p> <p>ON THE ISSUE OF INCREASING THE RESOURCE OF JIB ROTARY CRANES საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ სემინარი „ევროპული ინოვაციური ტექნოლოგიები გარემოს ინჟინერიაში“.</p> <p>სტუ, სამშენებლო ფაკულტეტი, თბილისი, საქართველო, 16-20 ოქტომბერი 2023წ.</p>	<p style="text-align: center;">ანალიზი</p> <p>ყველა მოხსენება იყო შესრულებული მაღალ მეცნიერულ დონეზე, რომლებმაც დაიმსახურეს მაღალი შეფასება და გაიცა სათანადო სერთიფიკატები.</p> <p style="text-align: center;">რეკომენდაციები</p> <p>უმჯობესი იქნება დეპარტამენტის თანამშრომლებმა ასევე მონაწილეობა მიიღონ უცხოეთში გამართულ ფორუმებში.</p> <table border="1" data-bbox="826 1827 1420 1944"> <tr> <td style="width: 50%; text-align: center;">შეფასება</td> <td style="width: 50%; text-align: center;">დადებითი</td> </tr> <tr> <td> </td> <td> </td> </tr> </table>	შეფასება	დადებითი		
შეფასება	დადებითი				

გამოქვეყნებულია 8 სამეცნიერო სტატია,
რომელთაც აქვთ ISSN და ISBN გრიფები.

1. ასოც. პროფ. გოჩა ჩიტაიშვილი;
პროფ. ნანა ნოზაძე; ასისტ. პროფ.
ქეთევან ჭკუასელი.

2. ასოც. პროფ. გოჩა ჩიტაიშვილი; პროფ.
ნანა ნოზაძე; ასისტ. პროფ. მანანა ნოზაძე.

3. ასოც.პროფ. კობა ილურიძე; ასის.
პროფ. მზია ბეგიაშვილი

4. ასოც.პროფ. კობა ილურიძე; ასის.
პროფ. მზია ბეგიაშვილი; ასოც პროფ. ნუნუ
მუმლაძე

5. გიორგი ჯაფარიძე, ალექსანდრე
მეტრეველი, ავთანდილ ცეცხლაძე

6. ა.მეტრეველი

7. ასოც.პროფ. კობა ილურიძე; ასის. პროფ.
მზია ბეგიაშვილი; ასოც პროფ. ნუნუ
მუმლაძე

8. დ.თავხელიძე, ზ. მჭედლიშვილი

კვლევების შედეგების კომერციალიზაციის
პოტენციალი

კვლევების შედეგები
კომერციალიზაციის თვალსაზრისით
პერსპექტიულია.

<p>საექსპერტო მოღვაწეობა</p> <p>2023 წელს ასეთი არ ყოფილა</p>	<table border="1"> <tr> <td colspan="2" style="text-align: center;">ანალიზი</td> </tr> <tr> <td colspan="2" style="text-align: center;">-</td> </tr> <tr> <td colspan="2" style="text-align: center;">რეკომენდაციები</td> </tr> <tr> <td colspan="2" style="text-align: center;">-</td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">შეფასება</td> <td></td> </tr> <tr> <td></td> <td style="text-align: center;">უარყოფითი</td> </tr> </table>	ანალიზი		-		რეკომენდაციები		-		შეფასება			უარყოფითი
ანალიზი													
-													
რეკომენდაციები													
-													
შეფასება													
	უარყოფითი												
<p>ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობა</p> <p>ახალგაზრდა მეცნიერებს/დოქტორანტებს აქვთ მაქსიმალური ხელშეწყობა, რაც გულისხმობს კვლევების მიმართულებით ყოველმხრივ დახმარებას და წვდომას, როგორც დეპარტამენტში არსებული ტექნიკური საშუალებების, ასევე დარგში არსებულ ლაბორატორიებში და საწარმოო-დაწესებულებებში განთავსებულ მოწყობილობებთან. აქვთ სამეცნიერო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობა და პუბლიკაციების გამოქვეყნების შესაძლებლობა. ზოგიერთი ჩართულია აკადემიურ საქმიანობაში.</p>	<table border="1"> <tr> <td colspan="2" style="text-align: center;">ანალიზი</td> </tr> <tr> <td colspan="2">ჩატარებული ანალიზი აჩვენებს, რომ ამ მიმართულებით დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობა არის შედეგიანი.</td> </tr> <tr> <td colspan="2" style="text-align: center;">რეკომენდაციები</td> </tr> <tr> <td colspan="2">კიდევ უფრო გაძლიერდეს ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობა სამეცნიერო მუშაობის მიმართულებით, რაც კიდევ უფრო აამაღლებს მათ კვალიფიკაციას, როგორც მეცნიერული, ასევე აკადემიური მიმართულებით.</td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">შეფასება</td> <td style="text-align: center;">დადებითი</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> </tr> </table>	ანალიზი		ჩატარებული ანალიზი აჩვენებს, რომ ამ მიმართულებით დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობა არის შედეგიანი.		რეკომენდაციები		კიდევ უფრო გაძლიერდეს ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობა სამეცნიერო მუშაობის მიმართულებით, რაც კიდევ უფრო აამაღლებს მათ კვალიფიკაციას, როგორც მეცნიერული, ასევე აკადემიური მიმართულებით.		შეფასება	დადებითი		
ანალიზი													
ჩატარებული ანალიზი აჩვენებს, რომ ამ მიმართულებით დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობა არის შედეგიანი.													
რეკომენდაციები													
კიდევ უფრო გაძლიერდეს ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობა სამეცნიერო მუშაობის მიმართულებით, რაც კიდევ უფრო აამაღლებს მათ კვალიფიკაციას, როგორც მეცნიერული, ასევე აკადემიური მიმართულებით.													
შეფასება	დადებითი												
<p>სამეცნიერო ნაშრომების მეცნორომიტრული მონაცემები და მკვლევართა სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებელი</p> <p>ამ ეტაპისათვის ციტირების ინდექსების მოძიება ვერ მოხერხდა.</p>	<table border="1"> <tr> <td colspan="2" style="text-align: center;">ანალიზი</td> </tr> <tr> <td colspan="2">2023 წლისათვის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულია მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომები, თუმცა ნაკლებია გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, რაც ითხოვს ამ მიმართულებით მუშაობის გაუმჯობესებას</td> </tr> <tr> <td colspan="2" style="text-align: center;">რეკომენდაციები</td> </tr> <tr> <td colspan="2">გათვალისწინებულ იქნეს დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის მიერ სახელშეკრულებო მოთხოვნები და გაუმჯობესდეს მუშაობა სამეცნიერო სტატიების მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების მიმართულებით.</td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">შეფასება</td> <td style="text-align: center;">დადებითი</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> </tr> </table>	ანალიზი		2023 წლისათვის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულია მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომები, თუმცა ნაკლებია გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, რაც ითხოვს ამ მიმართულებით მუშაობის გაუმჯობესებას		რეკომენდაციები		გათვალისწინებულ იქნეს დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის მიერ სახელშეკრულებო მოთხოვნები და გაუმჯობესდეს მუშაობა სამეცნიერო სტატიების მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების მიმართულებით.		შეფასება	დადებითი		
ანალიზი													
2023 წლისათვის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულია მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომები, თუმცა ნაკლებია გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, რაც ითხოვს ამ მიმართულებით მუშაობის გაუმჯობესებას													
რეკომენდაციები													
გათვალისწინებულ იქნეს დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის მიერ სახელშეკრულებო მოთხოვნები და გაუმჯობესდეს მუშაობა სამეცნიერო სტატიების მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების მიმართულებით.													
შეფასება	დადებითი												

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე-----ა. შარვაშიძე

დარგობრივი კომისიის მდივანი-----ნ. ნოზაძე